

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა შპს ასპ-გრუპი

პერიოდი: 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და	
დამტკიცებაზე.....	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს “ასპ-გრუპი“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს “ასპ-გრუპი“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს” მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
დავით კუჭერაშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვლადიმერ გოგოჩიშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შპს "ასკ-გრუპი"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს "ასკ-გრუპი"-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის "-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის "-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფასს" მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
დავით კეყერაშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი
ვლადიმერ გოგოჩიშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ასპ-გრუპი“-ს მენეჯმენტს და მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ასპ-გრუპი“-ს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „ფასს“ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის და ღირებულების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 10,940,519 ლარის ღირებულებებით (2023 წლის 31 დეკემბერი: 8,707,796 ლარი). შესაბამისად ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 8,112,785 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,072,634 ლარს). 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ჩვენი მოსაზრების შეუცვლელად, ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4-ზე. როგორც აღნიშნულ შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიამ მოახდინა წინა საანგარიშგებო პერიოდში დაშვებული არსებითი შეცდომების კორექტირება შესაძარისი მონაცემების მიმართ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

შპს “ასპ-გრუპი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია ჩვენს მიერ და გამოთქმულია პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს “ასპ-გრუპი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს “ასპ-გრუპი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 30 ოქტომბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906
2025 წლის 30 ოქტომბერი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.



გიორგი მიქებაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნაციონალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 30 ოქტომბერი



თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906
2025 წლის 30 ოქტომბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,112,785	7,072,634
არამატერიალური აქტივები	6	6,525	7,724
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,119,310	7,080,358
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	10,940,519	8,707,796
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	2,675,224	1,423,223
გაცემული ავანსები		4,175,976	1,803,710
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	93,346	214,480
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,885,065	12,149,209
სულ აქტივები		26,004,375	19,229,567
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		38,500	38,500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		12,942,659	10,572,698
სულ კაპიტალი		12,981,159	10,611,198
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	3,152,560	3,749,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,152,560	3,749,104
გადასახდელი გადასახადები		130,664	172,454
ნასესხები სახსრები	10	2,425,285	2,423,897
მიღებული ავანსები		3,712,529	1,291,449
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	3,602,178	981,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,870,656	4,869,265
სულ ვალდებულებები		13,023,216	8,618,369
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,004,375	19,229,567

დირექტორი
დავით კეჭერაშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვლადიმერ გოგოჩიშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელის 31 დეკემბერი	2023 წელის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,112,785	7,072,634
არამატერიალური აქტივები	6	6,525	7,724
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,119,310	7,080,358
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	10,940,519	8,707,796
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	2,675,224	1,423,223
გაცემული ავანსები		4,175,976	1,803,710
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	93,346	214,480
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,885,065	12,149,209
სულ აქტივები		26,004,375	19,229,567
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		38,500	38,500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		12,942,659	10,572,698
სულ კაპიტალი		12,981,159	10,611,198
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	3,152,560	3,749,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,152,560	3,749,104
გადასახდელი გადასახადები		130,664	172,454
ნასესხები სახსრები	10	2,425,285	2,423,897
მიღებული ავანსები		3,712,529	1,291,449
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	3,602,178	981,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,870,656	4,869,265
სულ ვალდებულებები		13,023,216	8,618,369
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,004,375	19,229,567

დირექტორი

დავით კეყერაშვილი

30 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ვლადიმერ გოგოჩიშვილი

30 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ. (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	12	29,175,019	22,136,414
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(20,813,429)	(14,647,223)
საერთო მოგება		8,361,590	7,489,191
სხვა ხარჯები		(1,003)	(2,755)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,874,344)	(3,591,288)
ცვეთა და ამორტიზაცია		(420,618)	(314,235)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		4,065,625	3,580,913
ფინანსური შემოსავლები		10,124	-
ფინანსური ხარჯები	15	(735,961)	(743,545)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება		(21,774)	(60,592)
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)	16	(184,462)	(68,044)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	217,764	453,533
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(355,384)	(547,783)
მოგება (ზარალი) დაზეგვრამდე		2,995,932	2,614,482
მოგების გადასახადის ხარჯი		(99,655)	(115,263)
წმინდა მოგება (ზარალი)		2,896,277	2,499,219
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,896,277	2,499,219

დირექტორი


დავით კეჭერაშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ვლადიმერ გოგოჩიშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ. (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	12	29,175,019	22,136,414
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(20,813,429)	(14,647,223)
საერთო მოგება		8,361,590	7,489,191
სხვა ხარჯები		(1,003)	(2,755)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,874,344)	(3,591,288)
ცვეთა და ამორტიზაცია		(420,618)	(314,235)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		4,065,625	3,580,913
ფინანსური შემოსავლები		10,124	-
ფინანსური ხარჯები	15	(735,961)	(743,545)
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება		(21,774)	(60,592)
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)	16	(184,462)	(68,044)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	217,764	453,533
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(355,384)	(547,783)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		2,995,932	2,614,482
მოგების გადასახადის ხარჯი		(99,655)	(115,263)
წმინდა მოგება (ზარალი)		2,896,277	2,499,219
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,896,277	2,499,219



დირექტორი

დავით კიკვიძე
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

ვლადიმერ გოგოჩიშვილი
30 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (აკუმულირებული ზარალი)	ჯამი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,500	8,671,039	8,709,539
საწყისი ნაშთის კორექტირება	-	(3,876)	(3,876)
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	2,499,219	2,499,219
გამოცხადებული დივიდენდები	-	(593,684)	(593,684)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,500	10,572,698	10,611,198
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	2,896,277	2,896,277
გამოცხადებული დივიდენდები	-	(526,316)	(526,316)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,500	12,942,659	12,981,159

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024 წელის 31 დეკემბერი	2023 წელის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	2,995,932	2,614,482
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა	419,419	313,036
ამორტიზაცია	1,199	1,199
საპროცენტო შემოსავალი	(10,124)	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(11,843)	(214,491)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6,958	635,807
მარაგებთან დაკავშირებული არაფულადი ხარჯები/შემოსავლები	(176,645)	(50,989)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	184,462	68,044
საპროცენტო ხარჯი	735,961	743,545
საწყისი ნაშთის კორექტირება	-	(3,876)
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	4,145,319	4,106,757
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(1,217,891)	(808,917)
ცვლილებები მარაგებში	(2,056,078)	(584,098)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(76,641)	(6,886)
ცვლილებები გაცემული ავანსები	(2,372,266)	101,883
ცვლილებები მიღებული ავანსებში	2,421,080	(434,850)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	2,482,015	234,660
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,325,538	2,608,549
გადახდილი მოგების გადასახადი	(64,804)	(64,267)
გადახდილი პროცენტი	(742,850)	(789,190)
მიღებული პროცენტი	10,124	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,528,008	1,755,092
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,581,353)	(3,852,966)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	126,668	550,515
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,454,685)	(3,302,451)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	25,145,439	27,398,749
მიღებული სესხების დაფარვა	(25,735,744)	(25,051,143)
დივიდენდების გადახდა	(526,316)	(593,684)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(1,116,621)	1,753,922
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	(43,298)	206,563
უცხოური ვალუტის ეფექტიფულობე	(77,836)	(51,754)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	214,480	59,671
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	93,346	214,480

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს “ასპ-გრუპი” (ს/ნ: 406217721) დაარსდა 2017 წლის 24 ივლისს. მის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავტომობილების, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სპეც-დანიშნულების ტექნიკის რეალიზაცია, მასთან დაკავშირებული სათადარიგო ნაწილების იმპორტი და სრული სერვისული მომსახურების გაწევა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორები და მეწილეები არიან: დავით კეჭერაშვილი (პ/ნ 12002000951. წილი: 75 %), ზაზა ენუქიძე (პ/ნ 01003010003. წილი: 12.5%) და ზურაბ სეფიაშვილი (პ/ნ 01012010586. წილი: 12.5%).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული

შპს “ასპ-გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.5349	3.4228
1 ჩინური იუანი/ლარი	0.3845	0.3782

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები: 5 %
- მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა: 8-20 %
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი: 20 %
- სატრანსპორტო საშუალებები: 20 %
- სხვა: 8-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ პროგრამულ უზრუნველყოფას. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხებათ მათი სასიცოცხლო პერიოდის გათვალისწინებით. ხოლო, იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა უცნობია, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადაამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა, ასევე, იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. წინა პერიოდის მონაცემების კორექტირება

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ მოახდინა წინა საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების კორექტირება, რომელიც გამოწვეული იყო შემდეგი სამი ძირითადი ფაქტორით:

- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებისგან მიღებული ავანსების ნაწილი შეცდომით იყო ასახული „გადასახდელი გადასახადები“ ანგარიშზე, ნაცვლად იმისა, რომ ასახულიყო სწორ ანგარიშზე: „მიღებული ავანსები“. ამ კლასიფიკაციის გამოსწორების მიზნით, მოხდა თანხის გადატანა სწორ ანგარიშზე. ნაშთის გასასწორებლად ასევე აღიარებულ იქნა არასაოპერაციო შემოსავალი.
- 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომით იყო აღიარებული ხარჯი, რომელიც ფაქტობრივად ეკუთვნოდა წინა 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდს. ამ შეცდომის გამოსწორების შედეგად, მოხდა 2024 წლის ხარჯის შემცირება და 2023 წლის შესადარისი მონაცემების კორექტირება. ამ კორექტირების შედეგად, ასევე, შემცირდა შესაბამისი მოთხოვნის (აქტივის) ნაშთი.
- მოგება-ზარალის ანგარიშგების მომხმარებლისთვის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მოხდა „საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილების“ მუხლის რეკლასიფიცირება. ეს თანხა გამოიყო არასაოპერაციო ხარჯების ჯამური თანხიდან და წარმოდგენილია ცალკე ხაზად 2023 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეს ცვლილება არ ახდენს გავლენას მოგების ჯამურ ოდენობაზე.

კორექტირების გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და 2023 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლებზე შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბერი	ცვლილება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,072,634	-	7,072,634
არამატერიალური აქტივები	7,724	-	7,724
სულ გრძელვადიანი აქტივები	7,080,358	-	7,080,358
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,707,796	-	8,707,796
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,423,223	(193,898)	1,617,121
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	-
გაცემული ავანსები	1,803,710	-	1,803,710
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	214,480	-	214,480
სულ მოკლევადიანი აქტივები	12,149,209	(193,898)	12,343,107
სულ აქტივები	19,229,567	(193,898)	19,423,465
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	38,500	-	38,500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	10,572,698	26,318	10,546,380
სულ კაპიტალი	10,611,198	26,318	10,584,880
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	3,749,104	-	3,749,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,749,104	-	3,749,104
გადასახდელი გადასახადები	172,454	1	172,453
ნასესხები სახსრები	2,423,897	-	2,423,897
მიღებული ავანსები	1,291,449	(220,217)	1,511,666
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	981,465	-	981,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,869,265	(220,216)	5,089,481
სულ ვალდებულებები	8,618,369	(220,216)	8,838,585
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	19,229,567	(193,898)	19,423,465

შპს “ასპ-გრუპი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	12 თვე, 2023წ.	ცვლილება 2023 წლის 12 თვეზე	თავდაპირველი წარდგენა
შემოსავალი	22,136,414	-	22,136,414
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(14,647,223)	-	(14,647,223)
საერთო მოგება	7,489,191	-	7,489,191
სხვა ხარჯები	(2,755)	-	(2,755)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,591,288)	-	(3,591,288)
ცვეთა და ამორტიზაცია	(314,235)	-	(314,235)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	3,580,913	-	3,580,913
ფინანსური შემოსავლები	-	-	-
ფინანსური ხარჯები	(743,545)	-	(743,545)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება	(60,592)	(60,592)	-
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი)	(68,044)	-	(68,044)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	453,533	141,857	311,676
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(547,783)	(54,947)	(492,836)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	2,614,482	26,318	2,588,164
მოგების გადასახადის ხარჯი	(115,263)	-	(115,263)
წმინდა მოგება (ზარალი)	2,499,219	26,318	2,472,901
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სრული შემოსავალი	2,499,219	26,318	2,472,901

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31.12.2022	1,367,259	2,582,057	545,451	460,137	345,275	4,932	5,305,111
შემოსვლა	4,720,157	1,057,210	38,854	34,770	150,093	-	6,001,084
გასვლა	(2,768,212)	(417,679)	(81)	(57,065)	-	(304)	(3,243,341)
ბალანსი 31.12.2023	3,319,204	3,221,588	584,224	437,842	495,368	4,628	8,062,854
შემოსვლა	111,708	518,426	40,360	12,877	929,165	-	1,612,536
გასვლა	-	(100,114)	(24,047)	(28,471)	(168,670)	-	(321,302)
ბალანსი 31.12.2024	3,430,912	3,639,900	600,537	422,248	1,255,863	4,628	9,354,088
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
ბალანსი 31.12.2022	-	(188,356)	(242,736)	(202,391)	(164,784)	(2,309)	(800,576)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	81,652	-	41,542	-	197	123,391
ცვეთა პერიოდისათვის	-	(144,719)	(66,624)	(52,716)	(48,599)	(377)	(313,035)
ბალანსი 31.12.2023	-	(251,423)	(309,360)	(213,565)	(213,383)	(2,489)	(990,220)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	78,461	12,152	23,878	53,845	-	168,336
ცვეთა პერიოდისათვის	-	(164,479)	(59,382)	(45,266)	(149,971)	(321)	(419,419)
ბალანსი 31.12.2024	-	(337,441)	(356,590)	(234,953)	(309,509)	(2,810)	(1,241,303)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2022	1,367,259	2,393,701	302,715	257,746	180,491	2,623	4,504,535
ბალანსი 31.12.2023	3,319,204	2,970,165	274,864	224,277	281,985	2,139	7,072,634
ბალანსი 31.12.2024	3,430,912	3,302,459	243,947	187,295	946,354	1,818	8,112,785

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2022	11,526	462	11,988
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	11,526	462	11,988
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	11,526	462	11,988
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ბალანსი 31.12.2022	(2,937)	(128)	(3,065)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	-	-
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(1,153)	(46)	(1,199)
ბალანსი 31.12.2023	(4,090)	(174)	(4,264)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	-	-
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(1,152)	(47)	(1,199)
ბალანსი 31.12.2024	(5,242)	(221)	(5,463)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2022	8,589	334	8,923
ბალანსი 31.12.2023	7,436	288	7,724
ბალანსი 31.12.2024	6,284	241	6,525

7. სასაქონლო - მატერიალური მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	10,734,242	8,530,134
მარაგი გზაში	110,331	-
მცირეფასიანი მარაგი	36,264	55,379
ნედლეული და მასალები	2,754	64,104
დაუმთავრებელი წარმოება	1,247	2,644
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	55,681	55,535
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,940,519	8,707,796

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,762,706	1,480,065
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(98,826)	(77,053)
წინასწარ გადახდილი ხარჯები (სსიპ საპენსიო სააგენტო წინაშე)	7,360	6,658
წინასწარ გადახდილი გადასახდელი ხელფასი	213	213
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	3,771	13,340
სულ	2,675,224	1,423,223

შპს “ასპ-გრუპი”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ლარი საბანკო ანგარიშებზე	58,388	169,549
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	969	4,217
ჩინური იუანი საბანკო ანგარიშებზე	182	12
ევრო საბანკო ანგარიშებზე	56	125
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი საბანკო ანგარიშებზე	3	3
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	59,598	173,906
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	33,748	40,574
სულ ნაღდი ფული სალაროში	33,748	40,574
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	93,346	214,480

10. ნასესხები სახსრები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	3,152,560	3,749,104
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,152,560	3,749,104
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	2,407,821	2,399,544
გადასახდელი პროცენტი	17,464	24,353
მიმდინარე ვალდებულებები	2,425,285	2,423,897
სულ	5,577,845	6,173,001

საბანკო სესხები აღებულია სს პროგრესდიტბანკსა და სს საქართველოს ბანკში.

ბანკებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია თავდებობით: დავით კეჟერაშვილის, ზურაბ სეფიაშვილის და ზაზა ენუქიძის თავდებობით. გარდა ამისა ქონების იპოთეკით, რომელთა მესაკუთრეები არიან შპს “დიზელი და ჰიდრავლიკა” (ს.კ. 406024118), შპს „ჰიდროტექნიკისი“ (ს.კ. 400013935) და შპს “ასპ-გრუპი” (ს.კ.: 406217721).

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	3,373,285	735,638
გადასახდელი ხელფასები	228,893	245,827
სულ	3,602,178	981,465

12. შემოსავალი

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	28,484,909	21,147,253
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,094,433	1,126,482
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(404,323)	(137,321)
სულ	29,175,019	22,136,414

შემოსავალი გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
საქართველოს ტერიტორიაზე	28,642,537	21,663,251
საქართველოს ფარგლებს გარეთ	532,482	473,163
სულ	29,175,019	22,136,414

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21,139,548	14,718,674
სასაქონლო-მატერიალ. მარაგის კორექტირება	(1,390)	26,385
შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა*	(324,729)	(97,836)
სულ	20,813,429	14,647,223

*2024 წლის პერიოდში კომპანიამ მომწოდებლებისგან მიიღო კრედიტ ნოტები 24,527 ლარის ოდენობით, რამაც შეამცირა შესყიდვების ხარჯი.

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
თანამშრომელთა ხელფასი	2,641,987	2,316,644
სამეურნეო ხარჯები	214,235	180,061
იჯარის ხარჯები	135,686	274,264
საწვავის დანახარჯები	129,261	138,348
რემონტის ხარჯები	112,032	76,570
მივლინების ხარჯები	90,969	79,472
კომუნიკაციის ხარჯები	57,133	55,336
კომუნალური ხარჯები	53,506	75,931
ბანკის მომსახურების საკომისიო	50,889	67,130
საგადასახადო ხარჯები	47,752	38,352
დამსაქმებლის მიერ დარიცხული საპენსიო ფონდის ხარჯი (2%)	47,723	41,902
დაზღვევის ხარჯები	34,669	29,510
რეკლამის ხარჯები	30,321	34,549
წარმომადგენლობითი ხარჯები	7,980	9,229
ტრანსპორტირების ხარჯები	4,488	6,333
კომპიუტერის ხარჯები	2,539	2,836
ოფისის ხარჯები	-	379
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	213,174	164,442
სულ	3,874,344	3,591,288

15. ფინანსური ხარჯები

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
საპროცენტო ხარჯები	735,961	743,545
სულ	735,961	743,545

16. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	78,221	83,039
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(262,683)	(151,083)
სულ წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(184,462)	(68,044)

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
უსასყიდლოდ მიღებული საქონლის საბაზრო ღირებულებით შეფასებული შემოსავალი	176,646	50,989
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	11,843	214,491
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	7,673	10,757
სსიპ აწარმოე საქართველოს მიერ სუბსიდირებული სესხის შემოსავალი	3,439	1,907
საგადასახადო ბარათთან შედარებით გამოწვეული სხვაობიდან მიღებული შემოსავლები	-	141,857
შემოსავალი საგადასახადო შეღავათებიდან	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,163	33,532
სულ	217,764	453,533

ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი მოიცავს რეალიზაციას 126,668 ლარს (2023 წელს 550,515 ლარს) და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ჩამოწერას 114,825 ლარს (2023 წელს 336,024 ლარს).

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12 თვე, 2024წ.	12 თვე, 2023წ.
ჯარიმის ხარჯები	320,434	503,982
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯები	6,958	-
საგადასახადო ბარათთან შედარებით გამოწვეული სხვაობიდან მიღებული ხარჯები	6,039	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	21,953	43,801
სულ	355,384	547,783

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან

(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	9,750
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	10,559
დაკავშირებული საწარმო	60,000	1,453,696
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	60,000	1,474,005

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	11,439
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9,016
დაკავშირებული საწარმო	60,000	28,863
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	60,000	49,319

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	რეალიზაცია	შესყიდვები	გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი
უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	-	526,316
დაკავშირებული საწარმო	-	1,972,316	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	-	1,972,316	526,316

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	რეალიზაცია	შესყიდვები	გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი
უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	85	-	593,684
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	456	-
დაკავშირებული საწარმო	-	130,124	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	85	130,579	593,684

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2024 წელი	2023 წელი
უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	184,574	173,332
სხვა დაკავშირებული მხარეები	83,436	73,810
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	268,010	247,142

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა შესასწორებელი ან არაშესასწორებელი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებით გამჟღავნებას მსს ფასს-ის სექცია 32-ის მოთხოვნების შესაბამისად.

23. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

24. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 30 ოქტომბერს.

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჭერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

მმართველობითი ანგარიში

Management Report

ჩანაწერი განახორციელა / Recorded by: ნინო მეშველაშვილი ხარისხის მენეჯერი

ესწრებოდნენ / In attendance:

NAME	TITLE
დავით კეჭერაშვილი	
ზაზა ენუქიძე	
ზურა სეფიაშვილი	
ედუარდ ცხოვრებაძე	
მერაბ გიორგობიანი	
სალომე კეჭერაშვილი	
ნინო მეშველაშვილი	
ლადო გოგოჩაშვილი	

არ ესწრებოდა / Absent:

NAME	TITLE

მმართველი გუნდი წევრებს, რომლებიც ვერ ესრებოდნენ შეხვედრას უნდა გაეგზავნოს ოქმი და მიეცეთ განხილვისა და კომენტარის შესაძლებლობა. ნებისმიერი კომენტარი, ცვლილება ან დამატებითი ინფორმაცია ამ პირებისგან უნდა იყოს ჩართული საბოლოო ოქმში ან გამოცემული იყოს როგორც დამატება.
For absent members, the minutes of this meeting must be sent to them afterwards, and opportunity for review and comment given. Any comments, changes, or additional inputs from these individuals must be incorporated into the final minutes or issued as an addendum.

ასპ გრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიქმნა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჭერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

შესავალი

შპს „ასპ-გრუპის“ მენეჯმენტის მიერ, 2024 წლის დასაწყისში, ISO 9001:2015 სტანდარტს მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა განვითარების რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება.

შპს „ასპ-გრუპის“ მენეჯმენტის მიერ, შეჯამდა 2024 წელს გაწეული საქმიანობა სტრატეგიული გეგმის მიმართულებების, დაგეგმილი ხარისხის მიზნების მიღწევის შეფასების მიზნით.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სტრატეგიული მიზნების შესრულების შესახებ.

ხარისხის პოლიტიკის მიმოხილვა და მასში ცვლილებების საჭიროება.

გადახედეთ ხარისხის პოლიტიკას, რათა დარწმუნდეთ, რომ ის კვლავ შეესაბამება კომპანიის მიზნებს.

ITEM 1: Review of the Quality Policy for current adequacy, and the need for changes to it.

Review the Quality Policy to ensure it still represents the company's goals.

ხარისხის პოლიტიკა და მისია

შპს „ასპ-გრუპის“ საქმიანობას წარმოადგენს, ავტომობილების, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სპეციალიზირებული ტექნიკის რეალიზაცია, მასთან დაკავშირებული სათანადო ნაწილების იმპორტი, სრული ადგილობრივი და მობილური მომსახურების გაწევა.

კომპანიის მისიაა, კლიენტზე ორიენტირებული პროდუქციისა და სერვისების სრულფასოვანი მიწოდება კვალიფიციური პერსონალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით.

საქმიანობისა და მისიის სრულფასოვანი შერსულების მიზნით შპს „ასპ-გრუპი“ იზიარებს ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

ამრიგად, ორგანიზაცია წინამდებარე ხარისხის პოლიტიკის ფარგლებში, იღებს პასუხისმგებლობას, საქმიანობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; უწყვეტად განავითაროს და გააუმჯობესოს ბიზნეს პროცესები, დაინტერესებული მხარეებისა და საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომპანია ზრუნავს მუდმივ განვითარებაზე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე - თანამედროვე ტექნოლოგიების, გამოცდილების გაზიარებითა და საკუთარ საქმიანობაში სიახლეების დანერგვით.

☐ ხარისხის პოლიტიკა განხილული და მისაღება არსებული ფორმით / Quality Policy reviewed and accepted as is.

☒ ხარისხის პოლიტიკა ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული რედაქციით

ასპ გრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჭერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

შპს „ასპ-გრუპის“ ხარისხის, გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

მისია და საქმიანობის სფერო

შპს „ასპ-გრუპი“ წარმოადგენს კომპანიას, რომელიც ახორციელებს ავტომობილების, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის რეალიზაციას, სათადარიგო ნაწილების იმპორტს და სრულ სერვისულ მომსახურებას. ჩვენი მისიაა უზრუნველყოთ მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება კვალიფიციური პერსონალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და შრომის უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების დაცვით.

შპს „ასპ-გრუპის“ კორპორატიული პოლიტიკა ეფუძნება ხარისხის მართვის, გარემოსდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს პერსონალი და გარემომცველი ბუნება.

ინტეგრირებული კორპორატიული პოლიტიკის ფარგლებში, რისკების გათვალისწინებით, კომპანია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და შემცირება;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაზოგვა;
- ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განვითარება;
- უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
- პროფესიული რისკების იდენტიფიცირება და პრევენცია;
- პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება;

წინამდებარე პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელი სტრატეგიული მიზნებია:

- შემოსავლების მუდმივი ზრდა
- ორიენტირება მომხმარებელზე, პერსონალსა და გარემოზე. დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გათვალისწინება, მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, მათი საჭიროებების, კმაყოფილების დონის მუდმივი გაუმჯობესება;
- საწარმოო ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება და გაუმჯობესება, ახალი საინჟინრო გადაწყვეტილებების და ტექნოლოგიების დანერგვა; სერვისების დივერსიფიკაცია და შიდა პროცესების მუდმივი გაუმჯობესება;
- პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით სფეროში კომპეტენციის და ცნობიერების ამაღლება კონსულტაციებში, ტრენინგებში, სიმულაციურ ტესტებში და სხვა ღონისძიებებში მათი ჩართულობით;
- ინტეგრირებული მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჭერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

სამუშაო პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობებზე დაიგემა შესაბამისი კორექციული და პრევენციული ღონისძიებები, რომელზეც ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა ინფორმაცია.

რესურსების მიმოხილვა, რომელიც საჭიროა კომპანიის და მისი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად / Review of resources needed to maintain and improve the effectiveness of the company and its quality management system. *Discuss resource needs for each of the following points.*

- ტექნიკური აღჭურვილობის აუცილებლობა / EQUIPMENT RESOURCES REQUIREMENTS:**
 - გასულ წელს, ტექნიკური აღჭურვილობის (სპეციფიური) შეძენის აუცილებლობა არ დამდგარა. რაც შეეხება, დასაქმებულთათვის პერსონალური დამცავი აღჭურვილობას, აღნიშნულს აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენა ხორციელდებოდა საჭიროების მიხედვით, რათა ყველა თანამშრომელის დროული უზრუნველყოფის მიზნით;
- ხარისხის სისტემა და სხვა რესურსების საჭიროება / QUALITY SYSTEM & OTHER RESOURCE REQUIREMENTS:**
 - 2024 წლის ბოლოს კომპანიამ უკვე დაიწყო დამატებითი ორი საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა.
 - ISO 14001 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის სტანდარტის და ISO 45001 სტანდარტი შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატების მოპოვების მიზნით, გარე აუდიტი პროცესი დაგეგმილია 2025 წლის აპრილი - მაისის პერიოდისთვის.
 - კომპანიამ დაასრულა მზის ელექტრო სადგურის მოწყობა ლილოში მდებარე სერვისცენტრის ტერიტორიაზე.
- ადამიანური რესურსები და ტრენინგის საჭიროებები / HUMAN RESOURCES & TRAINING NEEDS:**
 - კომპანიაში დასაქმებულების რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 90, ხოლო 2024 წელს 80 თანამშრომელს. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, გამოიკვეთა გაყიდვების მიმართულებით დასაქმებულ პირთა კომპეტენციის ამაღლების საჭიროება, შესაბამისად გაყიდვების მენეჯერთათვის დაიგემა შესაბამისი ტრენინგები ონლაინ რეჟიმში.

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიქმნა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჭერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

მომწოდებლების განხილვა Review of suppliers. *Discuss issues regarding suppliers of critical materials, hardware or software. Review supplier performance and any quality or delivery issues. Review open supplier corrective action notices issued since last meeting. Note any trends for individual suppliers. Indicate changes of supplier status or restrictions.*

ყოველწლიურად მიმდინარეობს მომწოდებლების სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. საყურადღებოა გადამზიდი კომპანიების მიერ ტვირთების დაგვიანების ფაქტები, თუმცა იმპორტის მენეჯერის მიერ პროცესი სრულად მართვადია და მაქსიმალური ყურადღებით ხდება მომწოდებლებთან მუშაობა. მომწოდებელთა შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში (დანართი #1).

ქვეკონტრაქტორების განხილვა Review of subcontractors. *Discuss issues regarding subcontractors working on a contract where the company is the Prime. Indicate actions taken or planned to improve subcontractor performance.*

ქვეკონტრაქტორებთან მიმდინარე 2024 წელს საყურადღებო გარემოებების არ დაფიქსირებულა.

ხარისხის მიზნების შესრულება Review of quality objectives, data and goals. *Review the current Quality Objectives as outlined in the Quality Manual and modify goals accordingly. Complete the Objectives table on the next page.*

მენეჯმენტის მმართველობით შეხვედრაზე შეფასდა 2024 წლის სტრატეგიული მიზნების შესრულება

ასპ გრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მუშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

#	ხარისხის მიზნები	ინდიკატორი	საჭირო რესურსები	პასუხიშეგებელი პირი	დროშესრულების ვადა	სტატუსი (ივსება წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე)
1	ახალი მომწოდებლების მოძიება;	ახალი მომწოდებლები, თანამშრომლობის დამდასტურებული დოკუმენტაცია	ადამიანური რესურსი, საჭიროების შემთხვევაში ფინანსური რესურსი მივლინებისთვის,	სალომე კეჟერაშვილი, დავით კეჟერაშვილი, ედუარდ ცხოვრებაძე, მერაბ გიორგობიანი	2024 წლის ბოლომდე	ტექნიკის მიმართულებით ასპ-გრუპმა დაწყო თანამშრომლობა ახალ მომწოდებლთან: - ჩინეთი - ZOOMLION - აგროტექნიკა; - საფრანგეთი - “KLUBB ” - ამწე კალათები; - იტალია - “COMET” - ამწე კალათები; - თურქეთი - BUMER - ამწე კალათები; - ჩინეთი -AUTONG – (LAWBED) - დაბალსაწოლიანი ნახევრადმისაბმელი (ლაფეტი); აწარმოებენ ასევე მისაბმელებს. - ჩინეთი - CLHGO – ნაწილების მწარმოებელი კომპანია (კონდიციონერები, კომპრესორები, გამათბობლები, მაცივრები - წვრილი დამატებითი მავომპლექტებლები ავტომობილებისთვის; - თურქეთი - HAKBAI - ჰიდრავლიკური ნაწილები - იტალია - AEC -ჰიდრავლიკური ნაწილები; - ჩინეთი - PULIWINCH - ავტომობილების ჯალამზარები ახალი პარტნიორების შერჩევა მოხდა ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით. მაგ. “კლუბი” არის ნომერი პირველი მწარმოებელი აღნიშნული ტექნიკის მიმართულებით. ლოგისტიკის მიმართულებით -ახალი კომპანიების დამატება არ მომხდარა.

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მუშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

2	კომპანიის შემოსავლების ზრდა	ფინანსური მაჩვენებლები	ადამიანური რესურსი, გასაყიდი პროდუქცია	გაყიდვების გუნდი	2024 წლის ბოლომდე	2024 წელს, 2023 წელთან შედარებით კომპანიის შემოსავლები გაზრდილია 22 % პროცენტით. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფინანსურ მენეჯერთან. კომპანიის ტენდერებში მონაწილეობისა და გაყიდვების შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია შესაბამის ფორმაში.
3	მარკეტინგული აქტივობების განხორციელება / ცნობადობის გაზრდა	ადამიანური რესურსი, ციფრული მარკეტინგული აქტივობების მაჩვენებლები	ადამიანური და ფინანსური რესურსი	სალომე კეჟერაშვილი, ადამიანურ რესურსების მართვის მენეჯერი, მარკეტინგის გუნდი	2024 წლის ბოლომდე	მიმდინარე წელს კომპანიის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესი, გრაფიკული დიზაინერისა და სოციალური მედია მენეჯერის აყვანის მიზნით. 1-ლი თებერვლიდან 10 სექტემბრამდე მუშობდა სოციალური მედიის მენეჯერი, რომლის მიერ შესრულებული სამუშაო შეფასდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მასთან შეწყდეს შრომითი ურთიერთობა. კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შედგომ აიყვანოს კონტენტს კრექტორი და ცალკე კიდეც 1 ადამიანი, ედვერთაიზინგის პოზიციაზე. დღეს შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის მარკეტინგულ გუნდში დასაქმებული 3 ადამიანი: გრაფიკული დიზაინერი, კონტენტ კრეატორი, ედვერთაიზერი. ამასთან შეიცვალა კომპანიის სოციალური მედიის მართვის სტრატეგია. დღეის მდგომარეობით კომპანიას აქვს 4 FB-ის გვერდი შესაბამისი მიმართულებებით, TIKTOK და LinkedIn ის გვერდები. ხდება სხვადასხვა ტიპის ვიდეოების გადაღება და გარეკლამება.

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

4	მზის ელექტროსადგურის მონტაჟი და ამუშავება	შესრულებული სამონტაჟო სამუშაოები, გამოიმუშავებული ელ. ენერგიის რაოდენობრივი მაჩვენებლები	ადამიანური და ფინანსური რესურსი	დავით კეჟერაშვილი, სალომე კეჟერაშვილი, ლადო გოგოჩიშვილი	2024 წლის ბოლომდე	2024 წლის დასაწყისიდან აქტიურად მიმდინარეობდა ინფრაქტრუქტურის კეთილწყობის სამუშაოები, მოეწყო საპარკინგე სივრცე და მისი სახურავი, რომელზეც დამონტაჟდა მზის პანელები. აპრილის თვიდან ამუშავდა ელექტროსადგური და გამოიმუშავებს 100 კვტ -ს საათში. გამომუშავებული ელექტროენერგია სრულად აკმაყოფილებს კომპანიის ადგილობრივ ხარჯს. ჭარბად გამოიმუშავებულს კი ყიდის. პროექტი განხორციელდა თანადაფინანსებით - "აწარმოე საქართველოში" პროგრამით
5	ავტოპარკის განახლება – ელექტრომობილებით ჩანაცვლება	რაოდენობრივი მაჩვენებლები	ადამიანური და ფინანსური რესურსი	დავით კეჟერაშვილი, სალომე კეჟერაშვილი	2024 წლის ბოლომდე	დღეის მდგომარეობით, სამუშაო პრცესებში ელექტრომობილებით ჩანაცვლდა 3 დიზელისა და ბენზინის ძრავზე მომუშავე ავტომობილი

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მუშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

6	ინფრასტრუქტურის გაუნჯობესება	შესრულებული სამუშაოები	ადამიანური და ფინანსური რესურსი	დავით კეჟერაშვილი	2024 წლის ბოლომდე	ეს კონკრეტული მიზანი 2024 წლის ბოლომდე სრულად ვერ შესრულდა და შესაბამისად, პროცესი გრძელდება. კომპანია ინფრასტრუქტურის ცვლილების და კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს სხვადასხვა ობიექტებზე. სათაო ოფისის ტერიტორიაზე: - მთლიანად მოხდა ბეტონის დაგება, - მოეწყო საპარკინგე ადგილი როგორც ჩვეულებრივი ავტომობილებისთვის, ასევე ელექტრომობილებისთვის დამონტაჟდა დამტენები, - დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური, - მოწყო სასაწყობე სივრცეები, - შესაბამის ადგილებში მოეწყო მოაჯირები, - შეიქმნა ნარჩენების მართვის პროცესისთვის შესაბამისი სივრცე. ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოები ასევე მიმდინაორებს კახეთის გზატკეცილზე #69. ამავდროულად, დაგეგმილია ჰიდრავლიკის სახლებისა და სხვა შოურუმებში, გარე რეკლამების ცვლილება / გადატანა / გადახალისება.
---	------------------------------	------------------------	---------------------------------	-------------------	-------------------	---

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

7	დანერგილი ISO 9001: 2015 ხარისხის მართვის სისტემით მუშაობა, შენარჩუნება/ განვითარება	1. მოხდება პროცესების მუდმივი განახლება;	მონაცემები, ადამიანური რესურსი	ხარისხის მენეჯერი	2024 წლის ბოლომდე	კომპანიაში სულ მოქმედებდა 12 პროცედურა. გაუქმდა ერთი პროცედურა #010 გაყიდვები. ვინაიდან პროცედურის დანართები არ იყო რეალურ პროცესებთან რელევანტური და არ გამოიყენებოდა. სულ გადახედილია 8 პროცედურა.
		2. ჩატარდება შიდა აუდიტები	მონაცემები, ადამიანური რესურსი	მენეჯერი, შიდა აუდიტორი	2024 წლის ბოლომდე	2024 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით ჩატარებულია 10 პროცედურაზე. ხოლო დამატებით ჩატარდა კიდევ 1 აუდიტი ფოთის ფილიალში - სამუშაო პროცესების შემოწმების მიზნითა და გარე აუდიტისათვის მომზადების მიზნით
					2024 წლის ბოლომდე	

ასპ მრუპი	მმართველობითი ანგარიში Management Report	
	ინდექსი / ID	ვერსია / Version
	F-6-SPMR-001	1
	შეიმუშავა / Created by: ხარისხის მენეჯერი ნინო მუშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili დაამტკიცა / Approved by: დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

8	ISO 14001 სერტიფიკატის მოპოვება	შერჩეული პროვაიდერი კომპანია, მოპოვებული სერტიფიკატი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	ხარისხის მენეჯერი, ფინანსურის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვის მენეჯერი	2024 წლის ბოლომდე	ბაზრის კვლევა ჩატარებულია და კონსულტანტი შერჩეულია. ამავდროულად, ხარჯების ოპტიმიზების მიზნით მოძიებულ იქნა თანადაფინანსების წყარო. 14001-ის სერტიფიკატის მოპოვების ხარჯების 50 %-ს დაფარავს EBRD. მასერტიფიცირებული და საკონსულტაციო კომპანიის შერჩევაც მოხდა იმის გათვალისწინებით, ვინც EBRD.-თან თანამშრომლობდა.
---	---------------------------------------	--	--	---	----------------------	--

2025 წლის სტრატეგიული მიზნები Strategic objectives for 2025 year

2025 წლისათვის განისაზღვრა რამდენიმე სტრატეგიული მიზანი, რომლის მიღწევასაც კომპანია გეგმავს.

1. შემოსავლების მუდმივი ზრდა
2. ორიენტირება მომხმარებელზე, პერსონალსა და გარემოზე. დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გათვალისწინება, მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, მათი საჭიროებების, კმაყოფილების დონის მუდმივი გაუმჯობესება;
3. საწარმოო ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება და გაუმჯობესება, ახალი საინჟინრო გადაწყვეტილებების და ტექნოლოგიების დანერგვა; სერვისების დივერსიფიკაცია და შიდა პროცესების მუდმივი გაუმჯობესება;
4. პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით სფეროში კომპეტენციის და ცნობიერების ამაღლება კონსულტაციებში, ტრენინგებში, სიმულაციურ ტესტებში და სხვა ღონისძიებებში მათი ჩართულობით;
5. ინტეგრირებული მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;

30.10.2025 წელი

ასპ გრუპი		მმართველობითი ანგარიში Management Report	
ინდექსი / ID		ვერსია / Version	
F-6-SPMR-001		1	
შეიმუშავა / Created by:		ხარისხის მენეჯერი ნინო მეშველაშვილი / Quality Manager Nino Meshvelashvili	
დაამტკიცა / Approved by:		დირექტორი - დავით კეჟერაშვილი / Director Davit Kezherashvili	

8	ISO 14001 სერტიფიკატის მოპოვება	შერჩეული პროვაიდერი კომპანია, მოპოვებული სერტიფიკატი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	ხარისხის მენეჯერი, ფინანსურის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვის მენეჯერი	2024 წლის ბოლომდე	ბაზრის კვლევა ჩატარებულია და კონსულტანტი შერჩეულია. ამავდროულად, ხარჯების ოპტიმიზების მიზნით მოძიებულ იქნა თანადაფინანსების წყარო. 14001-ის სერტიფიკატის მოპოვების ხარჯების 50 %-ს დაფარავს EBRD. მასერტიფიცირებული და საკონსულტაციო კომპანიის შერჩევაც მოხდა იმის გათვალისწინებით, ვინც EBRD.-თან თანამშრომლობდა.
---	------------------------------------	--	---------------------------------	--	-------------------	--

2025 წლის სტრატეგიული მიზნები Strategic objectives for 2025 year

2025 წლისათვის განისაზღვრა რამდენიმე სტრატეგიული მიზანი, რომლის მიღწევასაც კომპანია გეგმავს.

1. შემოსავლების მუდმივი ზრდა
2. ორიენტირება მომხმარებელზე, პერსონალსა და გარემოზე. დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გათვალისწინება, მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, მათი საჭიროებების, კმაყოფილების დონის მუდმივი გაუმჯობესება;
3. საწარმოო ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება და გაუმჯობესება, ახალი საინჟინრო გადაწყვეტილებების და ტექნოლოგიების დანერგვა; სერვისების დივერსიფიკაცია და შიდა პროცესების მუდმივი გაუმჯობესება;
4. პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით სფეროში კომპეტენციის და ცნობიერების ამაღლება კონსულტაციებში, ტრენინგებში, სიმულაციურ ტესტებში და სხვა ღონისძიებებში მათი ჩართულობით;
5. ინტეგრირებული მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება;



30.10.2025 წელი